

ბანმართებითი ბარათი

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზმი

კანონპროექტის მიღების აუცილებლობა განპირობებულია მოქმედ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზით. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების უფლების სწრაფი და ეფექტური დაცვის საშუალების არარსებობით. ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან საკუთრებით სარგებლობის სხვაგვარი ხელშეშლის შემთხვევაში მესაკუთრე იძულებულია თავისი კონსტიტუციური უფლების დასაცავად მიმართოს უფლების სასამართლო დაცვის გზას. სამართალწარმოების რთული და ხანგრძლივი პროცედურების არსებობა კი, ხშირ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს მესაკუთრის ინტერესების დროულ და ეფექტურ დაცვას, იწვევს მესაკუთრესა და საკუთრების ხელმყოფს შორის ურთიერთობის უკიდურესად გამწვავებასა და სხვადასხვა თვითნებური მოქმედებების განხორციელებას. იმისათვის რომ თავიდან იქნეს აცილებული ამგვარი გართულებები და მესაკუთრეს შეექმნას საკუთრების უფლების დაუბრკოლებლად რეალიზების შესაძლებლობა, მიზანშეწონილია კანონმდებლობაში ჩადებულ იქნეს შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმი, რასაც ემსახურება წარმოდგენილი კანონპროექტი.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია მესაკუთრეს მიენიჭოს უფლება საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, შესაბამის სამართალდამცავ ორგანოს მოსთხოვოს ამ პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარი ხელშეშლის აღკვეთა, რაც კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება იყოს უკანონოდ დაკავებული შენობიდან გამოსახლება და ა.შ.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლისათვის მე-3 ნაწილის დამატებას, რომლის თანახმად, თუ ადგილი აქვს საკუთრების ხელყოფას ან სხვაგვარ ხელშეშლას უძრავი ნივთის მიმართ, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოსაგან – კანონით დადგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გზით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

წარმოდგენილი კანონის პროექტის მიღება არ იწვევს საბიუჯეტო ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტი არ იწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტი არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომლებზედაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტით არ ხდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის განსაზღვრა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან
კანონპროექტი არ უკავშირდება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში
კანონპროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით მონაწილეობა არ მიუღიათ არასახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებებს, ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში
კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი
წარმოდგენილი კანონპროექტის ავტორია საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის სამსახური.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი
წარმოდგენილი კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პრეზიდენტი.